


# სარგბიელი

ეროვნული  
ზინგლირითეკა

საპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ორშაბათი, 18 მაისი 1998 №73 (608) ფასი 30 თეთრი

## სერბიანის ასალი მწვერვალი ნოსტორ სერბიანი ევროპის ჩემპიონია! ბიორბი რევაზიშვილმა კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა



გიორგი რევაზიშვილი

გუშინ, გვიან ღამით, ესპანეთის ქალაქ ოვიედოში, სადაც ძიუდოსისტა ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებულნი და პრიზიორები უნდა გამოვლინებოდნენ კვლავ შევეხმიანეთ საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს შოთა ხაბარძელს:

— ბატონო შოთა, „სარბიელიდან“ გაწუხებთ, რითი გაახარებთ ქართული ძიუდოს გულშემატკივრებს?

— სასიხარულო ნამდვილად გვაქვს, 60 კგ წონით კატეგორიაში ბრწყინვალედ იჭიდავა ნოსტორ ხერგიანმა, რომელმაც ყველა ორთაბრძოლა მაღალ დონეზე ჩაატარა და ფინალში უკრაინელი მირზალიევი დაამარცხა. გიორგი რევაზიშვილმა კი მესამე ადგილისთვის გერმანელ ძიუდოსისტ სძლია და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

— მთლიანად გუნდის გამოსვლაზე რას გეტყვით?

— ბრინჯაოს მოპოვების კარგი შანსი ჰქონდა აგრეთვე ჯონდო მუზაშვილს, მაგრამ მსაჯებმა არაობიექტურობა გამოიჩინეს, რაც არცთუ იშვიათი იყო ოვიედოს ევროპის ჩემპიონატზე.

— ერთი ოქრო და ერთიც ბრინჯაო, ვგონებ, ცუდი მონაგარი არ უნდა იყოს...

— ვფიქრობ, კარგ შედეგს მივაღწიეთ, მით უმეტეს, მედლების მოპოვება მხოლოდ რვა ქვეყნის ძიუდოსისტებმა შეძლეს.

სოსო კობახიძე



ნესტორ ხერგიანი

## შოთას პოლანდიური დუბლი

თასის ფინალი

აიაქსი 5:0 პოლანდია

აიაქსი: ვან დერ სარი (ბრები 84), რუდი, ბლინდი, ოლისე, ფ. დე ბური, რ. დე ბური, ვიჩხე, ლიტმანენი, ბაბანგიძე, არველაძე (მაკარტი 86), ლაუდრუბი (პუუსტრა 70), ვინდოვანი: ვატერფუსი, ოიფრი, სტამი, დემო, ნუმანი, იონკი, კოკუ, დე ბილდე (ბრუინკი 67), ნილისი, ზენდენი, სტინგა (ივანი 57), ხი ბაბანგიძე (25), 2:0, 3:0 ლიტმანენი (38, 61), 4:0 არველაძე (79), 5:0 ლიტმანენი (84)

წლეულს მესამედ დაუპირისპირდნენ ეს გუნდები ერთმანეთს და ამსტერდამის „აიაქსი“ წინა ორი შეხვედრის ჯაგური იყა-


რა ვინდოვანებზე — 3:0-ს ამ სეზონში აწ უკვე ქვეყნის ჩემპიონებთან აქამდე არ წაუგო, ანლა კი...

ბაბანგიძემ არველაძემ, ლიტმანენმა და სხვა აიაქსელებმა დაცხრილეს მეტოქის დაცვა, საბოლოოდ კი პოლანდიაში ერთადერთი რეალური მეტოქე აღგავეს პირისაგან მიწისა.

მატჩის შემდეგ ვინდოვანელთა თავკაცი დიკ ადვოკატი იტყვის, „აიაქსის“ დამარცხება კი გვეწადა, მაგრამ, როგორც ჩანს, კონცენტრირებულნი არ ვიყავითო. მწვრთნელი ცამდე მართალი იყო — გუნდს არაფერი ეტყობოდა იმისა, რომ ქვეყნის თასის გადამწყვეტ მატჩს თამაშობდა. მარცხის გამომწვევი ერთი მი-

ზენი გასაგებია: იაპ სტამი გაისად „მანჩესტერ იუნაიტედში“ მიდის, არტურ ნუმანი „გლაზგო რინჯერსში“ (ისევე როგორც კლუბის თავკაცი დიკ ადვოკატი), ვიმ იონკი ტოვებს გუნდს, ამით კი, ცხადია, სრულიად არ უნდოდათ, ახალ კლუბში ტრანზიტით მისულიყვნენ. სეზონის უკანასკნელი მატჩიც ვალის მოხდის მიზნით ითამაშეს.

თუ ინგლისის თასის ფინალში გასული ქართველი თასს აგებდა, პოლანდიაში საქმე საპირისპიროდ იყო — „აიაქსი“ მორიგი დუბლი შეასრულა და ჩვენს სასიხარულოდ, ამაში შოთა არველაძემც შეტანა არცთუ მოკრძალებული წვლილი.



ამსტერდამის „აიაქსი“ პოლანდიის თასის მოგებას და დუბლს ზეიმობს

სამშაბათობით და ხუთშაბათობით  
სარგბიელი FRANCE 98  
ნარბობიღებენ ეონანოლმებს  
adidas Canon Gillette JVC Opel Philips

### ამხანაგური მატჩები

## ლატ-ვია დოლოროსა

ლატვია 1:5 ისრაელი

ლატვია: რ. ლიზანსი, ზემლინსკი, სტეფანოვი, ზაგრეშევი, ლობანოვი, ბლეფენისი (ივანოვი), ი. ლიზანსი, პაზარი, ასტაფიევი (ვლისევი), ბაბიევი, შარანტო  
0:1 ნიშნი (17), 0:2 ტალანოვი (23), 0:3 გრაფი (31), 0:4 ტუბი (63), 0:5 მიზრაბი (79), 1:5 ლობანოვი (83)

ლატვიელთა მწვრთნელის რევაზ მოტუაშვილის თქმით, მის გუნდს ებრაელებთან შეხვედრამდე ზვირიანად მომზადების საშუალება არ ჰქონია. ორი ლეგიონერი — ივანოვი და ელისევი კი ზედ მატჩის წინ ჩასულა რიგას. თუმცა, ლატვიელებს მაინც თავიანთი უძლიერესი შემადგენლობით უთამაშიათ. ერთი, ძირითადის მეკარე კარაგევი არ ყოფილა. ქართველი მწვრთნელის აზრით ლატვიელ ფეხბურთელთა სადღესო მომზადების დონე ძალიან დაბალია. შინ ასეთი ანგარიშით განადგურება მრავლისმეტყველია. მიხიჩამ ვეთხრა, რომ ლატვიელთათვის ისრაელთან მარცხი ჭკუის სასწავლებელია. ხალხმა დაინახა აქაური ფეხბურთის ლიდერებს რისი თავიც აქვთო, დაამატა მოტუაშვილმა.

გუშინდელ მატჩში სხეებზე მეტად თურმე ვიტალი ბაბიევი აქტიურობდა, შეუქმნა კიდევ ერთი რეალური საგოლე მომენტი, მაგრამ ებრაელთა მეკარეს უწოჩა. რევაზ მოტუაშვილმა ისიც ვეთხრა, რომ ამ ფეხბურთელს ნორვეგიელთა წინააღმდეგ ამზადებს და ვიკინგებთან შეხვედრისას სწორედ ბაბიევის იმედს ექნება.



რევაზ მოტუაშვილი

ლატვიელთა მწვრთნელი თანახმაა ყველა ამხანაგური მატჩი წააგონ, ოღონდ კი ევროპის შესარჩევებში წარმატებით ითამაშონ.

მოკლედ, ჩვენი მომავალი მეტოქეები ებრაელებმა გოლომთის გზას გაუყვნეს, რითაც ცხადი გახდა, რომ ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევ გაცუფში ლატვია ერთ-ერთი აუტსაიდერი იქნება. თუმცა, მოტუაშვილის ხრიკებისა ღმერთმა უწყის. რას მოიფიქრებს, სექტემბრიდან გამოჩნდება.

საუბელი 2:1 ნამიბია

0:1 ნაუსები (31), 1:1 ალ ჯაბერი (41), 2:1 სოვიფი (77)





